ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი

23.01.2024 წელი

16.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**

კომისიის წევრები: ჯუმბერ ბლაგიძე, ელისო ჭიჭინაძე, სპარტაკ კვაჭაძე, გივი ცინცაძე, ლოლიტა ურუშაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზაზა წულაძე, ემზარ თევდორაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: **გიორგი იმნაიშვილი**/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე; 6. წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი იმნაიშვილმა** მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოგიდგენთ ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხას:

1. ქ. ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, ჩაჩავას, ხოფერიას, გოგებაშვილის, რ. ებრალიძის, თამარ მეფის, საფო მგელაძის, ებრალიძის, თბილისის, მორჩილაძის, თავისუფლების და ჭავჭავაძის (მე-2 ნაწილი) ქუჩების რეაბილიტაცია 6300000.
2. ქ. ლანჩხუთში აგრარული ბაზრის, ავტო სალაროს და ბავშვთა გასართობი სკვერის მოწყობა 3300000.

3. შუხუთის, აკეთის, აცანის, მამათის, ჩიბათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, ღრმაღელის, ნიგოითის, მაჩხვარეთის, ჩოჩხათის, ჯურუყვეთის, ლესის, სუფსის და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლებს შორის დამაკავშირებელი და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 6600000

სულ ჯამი 16200000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები მოწონების შესახებ".

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე ; 6. წინააღმდეგი: არცერთი.

2. სხვადასხვა.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა: ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ გოგუების უბანში არის მოთხოვნა ნაგვის ურნების დამატებაზე; ლესა-ჯურუყვეთში მოსაწესრიგებელია წყალსადენი, განსაკუთრებით ლესაში ,,კორეა" ს უბანში; ჯურუყვეთში მალხაზ ბოლქვაძის სახლთან არსებული ხიდი არის ავარიულ მდგომარეობაში და მოქალაქე ითხოვს შესაბამისი ტექნიკით დახმარებას; სოფელ ჭინათში არსებული მინი სტადიონი მოითხოვს აღდგენას, რადგან ბავშვთა კონტინგენტი მნიშვნელოვნად გაზრდილია; აუცილებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ფასადის რესტარვაცია.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა; რკინიგზის დეპარტამენტმა აუცილებლად გაიტანოს მდინარე სუფსაზე არსებული სარკინიგზო ხიდის რეაბილიტაციის შემდეგ დარჩენილი ხიდის ძველი კონსტრუქციები; სოფელ სუფსაში რკინიგზის მიმდებარედ არსებული სკვერი მოითხოვს აღდგენას და ხელის შევლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მომდევნო წლებში მეტი ხარჯების გამოყოფა იქნება საჭირო.

დეპიტატმა **გივი ცინცაძემ** აღნიშნა, რომ მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამების ქუჩაზე ბოლო შვიდ ოჯახთან არ არის სანიაღვრე არხი გაკეთებული და გასაკეთებელია.

დეპუტატმა **ლოლიტა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანიას და რუსთაველის ქუჩის კვეთაზე არსებული წყალგამტარი გადასასვლელი არის მაღალი, რომელიც აფერხებს ავტომობილების მოძრაობას და მოსაწესრიგებელია.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: **/გიორგი იმნაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N1

ქ. ლანჩხუთი 23.01. 2024 წ.

2024 წლის 23 იანვარს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტების განხილვა.

2.სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

23.01.2024 წელი
16:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	15 50	
2.	ემზარ თევდორაძე	—	
3.	სპარტაკ კვაჭაძე	15 50	
4.	ელისო ჭიჭინაძე	15 50 —	
5.	კახა თედორაძე	—	
6.	ლოლიტა ურუშაძე	15 55	
7.	ზაზა წულაძე	—	
8.	გივი ცინცაძე	15 50	
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	15 50	